

პაატა ბუხრაშვილი

ლიჩენიში კეობა
ჰადიშის (ზემო სვანეთი) თემში*

სვანური ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, ყოველი სვანური საკულტო ნაგებობა, რომელსაც მოგვიანო პერიოდში ამ მხარეში ქრისტეს რწმენის გავრცელების შემდეგ ამა თუ იმ წმინდანის სახელი შეერქვა, ერთი ან რამოდენიმე გვარისაგან შემდგარი სვანური თემის უზენაესი მფარველი იყო; ამ თემში შემავალი მეთემენი კი, თავის მხრივ, ამა თუ იმ სათემო ღვთაების „კაცებად“, სვანურად – „მარალ“ იწოდებოდნენ (1, 39-40).

ამ მხრივ, ვფიქრობთ, საინტერესო დღეობა იქნა ჩვენს მიერ აღწერილი ბალსზედა სვანეთის სოფელ ჰადიშში 1980-84 წ.წ. სვანეთის კომპლექსურ ექსპედიციაში (ხელ. ბ-ნი მიხელ ჩართოლანი) მონაწილეობის დროს.

სოფელი ჰადიშში, სადაც აღნიშნული დღეობა იმართება, მდებარეობს მდ. ჰადიშქალის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 2100 მეტრის სიმაღლეზე და შედის ისტორიული თავისუფალი სვანეთის შემადგენლობაში. სოფელი მდიდარია როგორც მატერიალური, ასევე სულიერი კულტურის (ამ სოფელში იყო დაცული, 897 წელს შატბერდის ლავრაში გადაწერილი ოთხთავი, რომელიც ამჟამად ჰადიშის სახარების სახელითაა ცნობილი.) პირველხარისხოვანი ძეგლებით; ორიგინალური ხასიათის კედლის მხატვრობით შემკული ოთხი ეკლესია, საცხოვრებელი სახლები, კოშკები, ჭედური და ფერწერული ხატები ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნებიან. სოფლის მოსახლეობა 18 კომლს (1984 წ.) შეადგენს და ორი გვარის – ავალიანების და ქალდანების უბნებად არის გაყოფილი.

ქუდოსანი წმინდა გიორგის (ჯგარაგ ლიჩენიშ ლიფაყუ) ეკლესია სადაც აღნიშნული დღეობა იმართება, სოფლიდან 4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ეკლესია XI საუკუნეშია აგებული და

*ნაშრომი ჩვენს მიერ შესრულებულია როგორც სადიპლომო შრომა 1983 წელს; ბ-ნი მიხელი ჩართოლანის ხელმძღვანელობით.

დღესასწაულის მთავარი მომენტი შესაწირის მიტანა წმინდა გიორგის ხატისადმი. შესაწირს შეადგენს: 3-6 მეტრის სიმაღლის ნაძვის ან ფიჭვის სარი (ღვატი) მასზე შესაბამელი ნაჭრით (ღურშად); საკლავი – ხბო, მოზვერი ან ციკანი; 60-მდე ლმწიერი, 1 ლ. ზედაზე და თაფლის სანთელი. ამას გარდა მოლჩენიშს (მლოცველს) მოაქვს 20-30 ცალი ხაჭაპური, ერთი სამამაკაცო პური 10 ლიტრამდე რაბი (საერთო ნადიმისთვის). შესაწირიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ღვატი და ღურშად, რომელთა წარმოჩინებითაც განსაკუთრებით ამაყობს მოლჩენიში. მათი მოტანა აუცილებელია მკვიდრი პადიშელისთვის ყოველ ვაჟზე, ხოლო სოფლიდან გათხოვილი ქალის (პასვიში) ოჯახისთვის პირველსა და მეორე ვაჟზე.

ლიჩენიშთან დაკავშირებით არსებობდა რიგი აკრძალვებისა თემის ყველა სრულასაკოვანი წევრისათვის. მაგ. დღესასწაულამდე ერთი კვირით ადარე ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს წყვეტდნენ თემის ყოველ ოჯახში; დღესასწაულში არ მონაწილეობდნენ ახალდაქორწინებულნი სამ თვემდე და ახალმგლოვიარე ოჯახები.

დღესასწაულის გაძღოლის მიზნით სოფელი 4 ნაწილადაა გაყოფილი, და ისინი მორიგეობით ასრულებენ ამ მოვალეობას. იმ პირებს, რომლებიც დღეობას უძღვებიან „მემზირებს“ უწოდებენ. მათ ევალებათ მოლჩენიშთა მოტანილი შესაწირის უშუალოდ შეწირვა ხატისადმი და ლოცვა-ვედრების აღვლენა მლოცველთა სახელით. მათ უნდა გაეწიათ აგრეთვე დღესასწაულისწინა სამზადისიც (ტერიტორიის გაწმენდა, შემის მომარაგება, ქვაბებისა და ჭურჭლის მომზადება ...).

მლოცველები ჯერ კიდევ მზის ამოწვერვამდე თავს იყრიან ეკლესიასთან. იქვე გაღავანთან გადმომდინარე წყაროზე განიბანებიან, რის შემდეგაც, განწმენდილთ უფლება ეძლევათ სამლოცველოს ტერიტორიაზე შესვლისა. ლიჩენიშზე საკმაოდ ბევრი მლოცველი იყრის თავს სრულიად სვანეთისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. 1980 წელს 36 ოჯახი იყო ამოსული დღეობაზე, 1981 წელს 28, ხოლო 1982 წელს ქუდოსანი წმინდა გიორგის სადიდებლად 45 ოჯახმა მოიყარა თავი.

მსხვერპლთშეწირვა მზის ამოსვლისთანავე იწყება და იქვე ეკლესიის გვერდით სრულდება. მოლჩენიში თავის ზვარაკს მიუყვანს მემზირს, რომელსაც ამ რიტუალის შესრულება ევალება. ეს უკანასკნელი ერთ ხელში სანთლით და მეორეში ლემზირ-

კვირია სამ-სამჯერ. ღვატებაღმართული მოღჩენიშების მწკრივთან პროცესიის მიახლოების შემდეგ, ახლა უკვე საბოლოოდ, სჯაროდ, შეძახილებით დალოცავენ იმ წალს დაბადებულ ვაჟებს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს მამაკაცის განსაკუთრებული როლი დღეობის მსვლელობაში. შესაწირის მიტანას, საკლავის დაკვლას, ღვატების აღმართვას, ფულის შეწირვას მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. ქალები მოშორებით დგანან და იჭიდან შეპყურებენ რიტუალის მსვლელობას. საგულისხმოა ისიც, რომ მლოცველნი (მოღჩენი შები) სალოცავში უქულოდ არ მიდიან.

ყოველივე ამის შემდეგ იმართება ქეიფი, ცეკვა-თამაში და სიმღერა, სადაც მამაკაცებიც და ქალებიც თანაბრად მონაწილეობენ. ადრე მხიარულების გამართვა ეკლესიის ეზოში დაუშვებელი იყო, ამჟამად კი ეს ტრადიცია დავიწყებულია.

ლიჩენიშის მომდევნო სამშაბათს იწყებენ თიბვას, რის აღსანიშნავადაც ხარი ახლა უკვე უშუალოდ სოფელში, მთავარ-ანგელოზის (თარინგზელი) ეკლესიის ეზოში იკვლის.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალდაბადებული ვაჟის სახელობაზე შესაწირი მიაქვთ, ვაჟიანობას და საზოგადოდ შვილიერებას შესთხოვენ ზემო სვანეთის სხვა სალოცავებსაც.

მაგალითად, ლენჯერის თემის მქერის ეკლესიაში მოსალოცად ძირითადად უძეონი მიდიან. მლოცველთ მიაქვთ ზედაშე, ლამზირები, სანთელი და მოჰყავთ საკლავი. ეკლესიის მსახური – „მოლოზანი“, უძეო ქალს კისერზე ჩამოაცვამს წირხს – არყის ხის დაგრეხილ წნელებს და მეუღლესთან ერთად შეიყვანს სალოცავში. თან შეიტანენ შეწირული საკლავის შემწვარ გულ-ღვიძლს, სანთელს, შესაწირ ფულს და სალოცავს ვაჟის შეძენას შეევედრებიან. ამ რიტუალის შესრულება შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს, ახალმთვარობის ორშაბათს.

ვაჟის შეძენას შესთხოვენ უძეონი ამავე სოფლის მეორე სალოცავს, ქაშუეთის წმინდა გიორგისაც. ქაშუეთობა იმართება აპრილის მეორე ნახევარში ახალმთვარობაზე. დღესასწაულში სოფლის მთელი ახალგაზრდობა მონაწილეობს. აცხობენ ლამზირებს და სალოცავს შესთხოვენ გვარის გამგრძელებელთა – ვაჟების გამრავლებას. ამ დღეს იმართება შეჯიბრი სროლაში და მამაკაცთა დიდი პურობა, იკვლის ორი ხარი(დილა-საღამოს). ქაშუეთის წმინდა გიორგის ვაჟების შეძენას ევედრებიან სხვა სოფლებიდან მოსული მლოცველებიც.

შეეძინებათ, მას წიფორის წმინდა გიორგის ყმად ზრდიან, თეთრებს აცმევენ და რამდენიმე წელიწადი ხატობაზე ატარებენ. სამსახურის გასვლის შემდეგ ვაჟს ამ თეთრებს გახდიან და იქვე ხატში დასტოვებენ(2, 23). ეს დღეობა ჩვენს მიერაც იქნა დამოწმებული. მართალია ეს რიტუალი ამგვარი სახით ყოფაში უკვე აღარ სრულდება, მაგრამ მიუხედავად ამისა იმ გვარის წარმომადგენლები, რომლებიც წიფორის წმინდა გიორგის საყმოდ ითვლებიან (ქავთარაძეები, ბიბილაშვილები, ყიყიაშვილები) ახლაც სწირავენ ხატს სამადლობელო ზვარაკს ვაჟის შეძენის შემთხვევაში.

ახალდაბადებული ვაჟის სახელობაზე საკლავი მოჰყავთ ლომისის წმინდა გიორგის მღეთის სალოცავში და ალევის ოქროსკარიანი სამების (ქსნის ხეობა) ეკლესიაშიც.

ვაჟების მფარველად ითვლებოდა მთელი რიგი სალოცავებისა რაჭაშიც. სოფელ ზემო სხვადაში (ამბროლაურის რ-ნი) არსებულ მთავარანგელოზის ეკლესიაში, რომლის ნანგრევებიც ხატის ტყით დაფარულ გორაკზეა შემორჩენილი, დედებს მოაქვთ შესაწირი (სანთელი, ფული) და თავიანთი ვაჟების ჯანმრთელობისა და ბედნიერებისთვის ლოცულობენ. სოფელ სორში აღდგომიდან მეოთხე ხუთშაბათს წმინდა გიორგის ეკლესიაში გამართული ნაციხურობაც ვაჟიანობისადმი იყო მიძღვნილი, რომელსაც მრავალძლისა და ნიკორწმინდის სალოცავებიც „უბამდენ მხარს, რადგან მათ ანგელოზებს ერთმანეთთან მიმოსვლა და ურთიერთობა ჰქონდათ“.(მთხრ. ამბროსი მინდელი. 78 წ. სოფ. სორი).

ლიჩენიშის თითქმის ანალოგიური დღესასწაულია დადასტურებული ფშავ-ხევსურეთშიც, რომელიც ხატში გაყვანა-მიბარების სახელითაა ცნობილი. ხევსურეთში, როცა ვაჟი დაიბადებოდა, მშობლები მას „მიბარებდნენ“ რომელიმე ხატს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მას სამგზის მიაგორებდნენ ხატისკარს ან დროშასთან (3, 29). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ჩვეულება გაანალიზებულია, როგორც ღვთაების მიერ თავის საყმოს შვილად აყვანის მისტერია, რის შემდეგაც ბავშვი ხატის მფარველობაში ექცევა (იქვე).

ვაჟების დამბადებლად ითვლებოდა ხახმატის წმინდა გიორგის ხატიც. ამის შესახებ მოთხრობილი აქვს გ. თედორაძესაც –

ღვატი 3 - 6 მეტრის სიმაღლის სარია, რომელსაც ვაჟის მამები სწირავენ სალოცავს. დღეობამდე 3 - 4 დღით ადრე მოლჩენიში მიდის ტყეში, სადაც წინასწარ უკვე შეგულებული აქვს საჭირო სიმაღლის ნაძვის ან ფიჭვის ხე და სთლის შესაწირ ღვატს.

ღურშად – ღვატზე შესაბამელი ქსოვილის ნაჭერია, რომელსაც სალოცავს ვაჟის მადლიერი დედები სწირავენ. საერთოდ სვანეთში, ისევე როგორც საქართველოში და ზოგადად მთელს კავკასიაში, საკმაოდ გავრცელებულია სათემო ხატებში ნაჭრების (საკადრისების, ხატის პერანგის, ლეჩაქის...) მიტანა. საკადრისებს უწოდებს ლიჩენიშზე შეწირულ ნაჭრებს, თავის ნაშრომში „სვანი ქალის სამოსი“, ც.ბეზარაშვილიც(იხ.7).

ქართულ ფოლკლორში, ისევე როგორც ტოპონიმებსა და წერილობით ძეგლებში, საკმაოდაა დაცული ხე-მცენარეთა თაყვანისცემის ამსახველი მასალები. პროკოფი კესარიელის ცნობით, აფხაზ-აფშილები თაყვანს სცემდნენ ტყეებსა და ხეებს, რომლებიც მათ ღვთაებებად მიაჩნდათ. წმინდა ნინოს ცხოვრება გვაუწყებს, რომ „სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადა იგი იხილა ერი უცხო და უცხო ღმერთთა მსახური, რამეთუ თაყვანს სცემდეს იგინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქუასა და ძელთა“ [10,191].

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მის მთიან მხარეებში, ხისა და ტყის კულტი გვიანობამდე შემორჩა. მაგალითად სვანეთში, კალის თემში, დაცული იყო ცადაწვდილი ხეებით დაფარული ადგილები, როგორც წმინდა და სათაყვანებელი. ამ ადგილებიდან, სვანების რწმენით, ნაფოტის გატანაც კი ღვთის რისხვას გამოიწვევდა [8,134].

ასევე ხატის ტყეები მრავლად არის ფშავ-ხევსურეთში. კახეთში, აწყურის წმინდა გიორგისა და ალავერდის ეკლესიების ადგილზე ძველად წმინდა ტყეები ყოფილა გაშენებული. აფხაზეთში, ავაზაკი, რომელიც თავს წმინდა ტყეს შეაფარებდა, ადათის მიხედვით ხელ შეუხებელი იყო.

სავარაუდოა, რომ ლიჩენიშში დადასტურებული ღვატების დამზადება ნაძვისგან, ქართველურ ტომებში, განვითარების ადრეულ ეტაპებზე, ხის კულტის არსებობის გამოძახილი უნდა იყოს. ნაძვი, წმინდა ხედ ჭერ კიდევ უშუამერებს მიაჩნდათ. სამეფო ნერგი კოსმიური ხის ფუნქციას ასრულებდა: – „რჩეულო კედარო,

მძიმეა), დღეობის მონაწილენი მას სიცილ-სიცილით არაცნობიერად აიგივებენ კიდევ ფალოსთან.

მაშასადამე, კიდევ ერხელ აღვნიშნავთ, რომ მოტანილი მასალების თანახმად, დღეობა „ლიჩენიში“ ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი დღესასწაულია და ამ შემთხვევაშიც, როგორც ეს საკმაოდ ხშირია საერთოკავკასიურ სინამდვილეში, ქრისტიანულ წმინდანს წინარე, წარმართული ხანის ღვთაების ფუნქციები შეუთვისებია.

დამოწმებული ლიტერატურა

2. ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ. 1930
3. ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, XIII - 8. თბ. 1952
4. გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში. თბ. 1936
5. ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, თბ. 1926
6. მ. მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი ძველი სვანეთში. სვანეთი I. თბ. 1977
7. ც. ბეზარაშვილი, სვანი ქალის სამოსი, სვანეთი I, თბ. 1979
8. ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ. 1925
9. ზ. კიკნაძე, შუმერული მითოლოგია, თბ. 1979
10. ნინოს ცხოვრება. ქართული პროზა. თბ. 1981

According to the materials under consideration, the holiday “lichanishi” is dedicated to the divinities of fruitfulness and in this case, as is so frequent in the Caucasus, a Christian saint had adopted the functions of a divinity from an earlier, pagan period.

ფოტოები



სოფ. ჰადიში



მოლჩენიში



ჯგრაგ ლიხენიშის ეკლესია



მლოცველები



ღვატები და ღურშად